



თბილისის საქალაქო სასამართლო



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტსა და
თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის

მემორანდუმი

ქ. თბილისი

15 ნოემბერი, 2013 წელი

თბილისის საქალაქო სასამართლო, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, მამუკა ახვლედიანის სახით და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), წარმოდგენილი უნივერსიტეტის პრორექტორის, სამართლის ფაკულტეტის დეკანის კახი ყურაშვილის მიერ, (შემდგომში - მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთ-თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განახორციელება, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი (შედარებითი) კვლევების, სამართლის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტებისა და იურისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

3. მემორანდუმის ამოცანები

ზემოთხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ:

- 3.1. სამართლის კლინიკის საბაკალავრო (მე-3, მე-4) პროგრამის სტუდენტების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პრაქტიკული კურსების გავლა თბილისის საქალაქო სასამართლოში.
- 3.2. თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

- 4.2. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 4.3. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე, თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე;

5. დასკვნითი დებულებები

- 5.1. წინამდებარე მემორანდუმში შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;
- 5.2. მემორანდუმში ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხუთი წლის ვადით;
- 5.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმში;

მხარეთა რეკვიზიტები:

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი





კატი ყვარაშვილი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის პრორექტორი

მის: ჩოლოყაშვილის №53
საქართველო ქ. თბილისი, 0113
ტელ: (+995 32) 2 54 59 08
ელ-ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge
ვებ-გვერდი: thu.edu.ge

თბილისის საქალაქო სასამართლო



მამუკა აბულაძეანი

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი, XII კმ.
საქართველო, ქ. თბილისი 0131
ტელ: (+995 32) 2 51 03 00
ვებ-გვერდი: www.tcc.gov.ge